

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნ. პ. ლომიძის

მთორიზებული კოლონა სპირველმაისო დემონსტრაციაზე.

№ 8 (1282)

აპრილი

1968


საქსი

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კპვ

გაიხი

5

1968
1818 დაიბადა
კარლ მარქსი
(დაბადების 150
წლისთავი)



გთავაზობთ კარლ მარქსის ეპიგრამას გოეთეს მომღვაწე პუსტაშენზე.

უკანასკნელი ეპიგრამა მხარავ ოსტატზე*


ზილე შენი ღვეწელები, იყავ კარგი საბაზი,
და ფუჭად არ დაიხარჯო უსარგებლო ჯაფაზე.
რომ საბაზი საბაზობდეს, არ ბაძაგდეს პოეტებს,
მაშინ აბა ვინ მოგთხოვდა, თავს აკლავდე გოეთეს?
შენს ხელობას ხომ არ იცნობს, გული რაზე გტკენია?
რომ ნახა და იმსახურა გონება და გენია?

* ეპიგრამა აგებულია სიტყვის თამაშზე: გოეთეს კრიტიკოსის პუსტაშენი გვარი შედგება ორი სიტყვისგან. პირველი, „პუსტენ“ ნიშნავს ბერვას ან კაჭედან puschend — მხარავი), მეორე კი — „კუხენ“ — ღვეწი, ნაშენი მარქსი ბევ კრიტიკან ხუცებს ურჩევს დასჭერდეს საბაზობას, როგორც სჭერდება პოეტობას.

გაიხი

5

1968
გაუფრთხილი სიტყვის
დღე



გაიხი

7

1968
რადიოს დღე



მართალი სიტყვა, რომელიც ლახვარივით ესო-
ბა მტერს.



გაიხი

9

1968
გამარჯვების
დღისასწავლი.



მეცხრე ტალღა.

„ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი“ — თქმის კეთილშობილი ქართველი ხალხი. რაც არ უნდა ხალხური ვუძახოთ ამ სიმღერას, მე მაინც მგონია, რომ ეგ სიმღერა მონადირე კაცის მოგონილია და კაცური მონადირის.

ქარელის რაიონის სოფელ აბუსალოში მცხოვრებ ლავრენტი ხალივეს და მის მეზობლებს აბუსალოელ პლატონ შავლოხოვს, სულეიკო შავლოხოვს, ამირან ხალივესა და სერგო შავლოხოვს. ჰგონიათ, რაკი ეგ სიმღერა ტოროლაზეა, სხვა ფრინველსა და ცხოველს პატრონი არ ჰყავსო და ისეთი ორულულიანი თოფები შეიძინეს, ერთ ვერსზე მატარებლის რელსს რომ ხვრეტს.

გორის რაიონის ტყეებში შველებზე ნადირობის პერსპექტიული გეგმა შეადგინეს და თათბირიც მოიწვიეს.

— შვლის ერთ კილო ხორცში 5 მანეთს იძლევიან, — განაცხადა პლატონ შავლოხოვმა.

— მე 6 მანეთადაც გამიყიდა, — დაუმატა სერგომ.

— გუშინწინ ლეიტენანტს ტყეში, — მოჰყვა სულეიკო, — შვლების ჯოგი ვნახე, თოფი თან არ მქონდა, ცულით ვიყავი და ერთი შვლის მოკვლაც ვერ მოვახერხე. იმ ადგილებში ხშირად იღამებენ შვლის ნუკრები და მოდი ნადირობაც იქიდან დავიწყეთ...

...და გაემართნენ მინდიას „ღირსეული შთამომავლები“ მეძებარი ძაღლებით შვლების ამოსაქულებად. 16 მარტს, ლავრენტი ხალივეი თავისი ჯგუფით დასახელებულ ადგილებში ჩასაფრდა. როგორც ბანდის ატამანმა, თავის სიტყვას არ უღალატა და პირველ სროლაზევე სასიკვდილოდ დაჭრა ერთი წაბლა შველი. ხოლო მეორეს, როგორც იტყვიან, ფერდში ჰჭრა ისარი ორბის ფრთიანი და, როგორც კარგი კრიმინალისტი, სისხლის კვალს გაჰყვა იმ იმედით, რომ მალე ცოცხალ-მკვდარს მიაგნებდა. მისი ამხანაგების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დასცქეროდნენ მომაკვდავ შველს, რომელიც გულისამაჩუყებლად ბავშვივით ტიროდა, ცრემლებს ღვრიდა, შველას ითხოვდა მის გარშემო მყოფ ადამიანებისაგან.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლავრენტი დაღონებული დაბრუნდა, ნერვიულობდა, მეორე შველი სასიკვდილოდ ვერ დასჭრა და შველმა უშველა თავს გაქცევით.

— არა უშავსრა, — ამშვიდებდა ამირან ხალივეი, — ეს პირველი დღეა, მომავალი ჩვენს ხელშია. ყველა აქ მოხეტიალე შველი აი ამ ტყეების წერაა, — და ხელი პატრონტაშზე დაიდო.

ამირანმა ტიკი შეარხია და ბიჭებს შესძახა:

— აქ 25 ჩარეკა ორნახადი არაყია. ახლა ჩემს ნათლიმამა აბდულა გაგლოვებთან ვიქეფოთ. დღეს კი ეს შველიც გვეყოფა საპურმარილოდ.

ნანადირევი აბდულა გაგლოვის ეზოში გაატყავეს. ხორცი უწესრიგოდ აკუწეს და საარაყე ქვაბში ჩაყარეს, რომელშიც წყალი კარგა ხანი დუღდა. თამადად ლავრენტი ხალივეი ამოირჩიეს, როგორც ნადირობის მომწყობი ინიციატორი და სნაიპერი.

— ამ ჭიქით, — დინჯად დაიწყო თამადამ, — გორის რაიონის მილიციის გამომძიებლებს გაუმარჯოთ, რომლებსაც ჩვენთვის არა სცალიათ და ხელს არ გვიშლიან

ამ გემრიელი შვლის ხორცის ჭამაში. — ამ სადღეგრძელომ გამოცოცხლება შეიტანა სუფრაზე. ატყდა სიცილ-ხარხარი, ყანწები ყანწებზე იცლებოდნენ.

მსუბუქი ავტომანქანა „ვილისი“ 35-00-გრუ დიდი სისწრაფით მიჰქროდა იმ სოფლისკენ, სადაც შვლის ხორცზე ღრეობა იყო გამართული. სოფლებში, სადაც მანქანამ გაიარა, მშრომელებმა იცნეს მანქანაში მჯდომი გორის რაიმილიციის განყოფილების უფროსი ოპერწმუნებული კაპიტანი სოლომონ გორგიშელი, ოპერწმუნებული ლეიტენანტი ალბერტ ილურიძე, უბნის რწმუნებული ლეიტენანტი გურამ გორგიშელი, უფროსი სახელმწიფო ავტონისპექტორი კაპიტანი გიორგი ძაგნიძე და უბნის რწმუნებული ლეიტენანტი თენგიზ წერეთელი...

ცხარე არყის სმას ბოლო არ უჩანდა. ცეკვები გააჩაღეს. აქ კი ბედმა უმტყუნათ. „ერთგულ მეგობრებს“ ჩხუბი მოუვიდათ, პლატონ შავლოხოვმა ლავრენტის ჩხუბში წარბი გაუტეხა და ფინური დანა ამოუღო ცეკვის დროს შენ ილეთები დაარღვიე და ხელიც მკარიო. თავმომწონე ლავრენტიმ. რომელსაც თავი კეისარზე მალდა ეჭირა, მძიმე შეურაცხყოფად მიიღო ეს და თავლის დახმამებში პლატონს (არც პლატონს ეჭირა თავი ფილოსოფოს პლატონზე დაბლა) ჟანკის ტყვია დაახალა. ამოიყუ მასპინძელ აბდულას ჭიდაობა მოჩხუბრებთან. მისი ოთახის იატაკი სისხლით შეიღება. ამ დროს შეაღო სახლის კარები მილიციის ოპერატიული მუშაკების ჯგუფმა. მათ ხელში გაშიშვლებული პისტოლეტები ეკავათ. პლატონი ახლაც გორის რაისა-აყადმყოფოში მკურნალობს. ლავრენტი და მისი დამქაშები კი გორის რაიმილიციის კამერებში „პერედაჩის“ მოლოდინში ნერვიულობენ.


გამდირების კიდევ სხვა გზა არსებობს ფლორისა და ფაუნის ხარჯზე. ეს სხვა გზა ქ. ბორჯომში, კიროვის ქ. № 67-ში მცხოვრებმა გოდერძი კაპანაძემ და იმავე ქუჩაზე № 127-ში მცხოვრებმა ალექსანდრე გოგალაძემ აღმოაჩინეს.

გოდერძი კაპანაძე ბორჯომის ასკ-ს გაზ-51 მარკის № 07-46 გრნ მანქანას მართავდა, ხოლო ალექსანდრე გოგალაძე ამავე ასკ-ს „კოლხიდის“ მარკის № 19-75 გრს მანქანას. მძღოლ-მეგობრებმა რატომღაც იცოტავეს თავიანთი ხელფასი და ბორჯომის წიწვიანი ჯიშის მერქნით გორის რაიონის სოფლების მომარაგება გადაწყვიტეს მათზე გაპიროვნებული ავტომანქანებით. ასე მაგალითად:

კაპანაძემ გორის რაიონის სოფელ ქვეშში 43 კუბმეტრის რაოდენობით მრგვალი სამასალე წიწვიანი ჯიშის მერქანი ჩამოზიდა და თითოეული კუბმეტრი მთქ. ალექსანდრე ბიბილურს, დავით გამდლიშვილს, ალექსანდრე ვაშაგაშვილს და სხვებს 50 მანეთად მიჰყიდა. ხოლო ალექსანდრე გოგალაძემ ბორჯომიდან სოფელ ქვეშში 48 კუბმეტრის რაოდენობით ნაძვისა და ფიჭვის მორები ჩამოიტანა. მისმა მუშტრებმაც სოფელ ქვეშში მცხოვრებმა მარიამ ვაშაგაშვილმა, ვასილ დარბაიძემ, შურა ვაშაგაშვილმა და სხვებმა გოგალაძეს კუბმეტრში 50 მანეთი გადაუხადეს. კაპანაძე და გოგალაძე მყიდველებს ეფიცებოდნენ, რომ ამ მასალას ლაფანჭამია არ მიჰკარებია, სულ საღი მერქანია ჩვენი ხელით სათუთად მოჭრილი საკურორტო ადგილებში. დაილაღნენ გოდერძი და ალექსანდრე ნაპარავი საქონლის ქებით, დაილაღნენ ფულის თელითაც. ამ გაწამაწიის დროს მათ თავს წამოადგათ მილიციის გორის რაი-განყოფილების უფროსის მოადგილე მაიორი შოთა გენგიური, უფროსი ოპერწმუნებული უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ სოფრომაძე, ოპერწმუნებული ლეიტენანტი რობერტ რიჟნიკოვი, ოპერწმუნებული კაპიტანი სიმონ ვანიშვილი, უბნის რწმუნებული უფროსი ლეიტენანტი დიმიტრი ვანიშვილი და უმცროსი ლეიტენანტი ზაბილონ მიხანაშვილი. მათ დად-ლილი მამურალნი მოსასვენებლად წაიყვანეს.

შალვა ვანიშვილი
გორის რაიმილიციის უფროსი

ნ.ბ. ჯ. ლოლუასი



— ორმოცი წელიწადი იატაკებზე გავატარე, პერსონალური პენსიას რატომ არ მიმიშენებთ?
— სად მუშავებთ?
— სოფლიორი გახლავართ.



— რა არის შენ?
— ცოლზე, სიღვრადი, ცოლისავე, ყველა ფეხბურთზე წაიშლა
და მე რა მინდა!



— რამდენი ნივთიანება შეაგდო ბარათი?
— ზნახ 09-07-83.



გამოცემით მოგზაური ბარათი.



— არიოლი თუ რაზმა?
— ცოლზე ამოიკადავო ფულზე თავსად.

თუ გალაპარაკი ხო კაი, თუ პრა ლა რქანი!

აქედით ხელფასი. მარათინი რაბე-
ნით სახლისავე მივიქცარი. ჩემი ოჯა-
ხის წარები ძირითადი დამოკლება
ტყულება თავდასხმელებით. მთავარი
ბოძარდირი ცოლია. ცენტრალური
თავდამსხმელებია სიღვრადი და სიმა-
კი. უფროსი ვაჟიშვილი „მწმენდავი“
(ჩემი კიბის). შუათანა — ნახევარმცე-
ლი, ნაბოლარა ვაჟიშვილი კი გერკი
უმუშევრა, თადარიგია. ქალშვილი
შემტყუარ სტილის გულშემატყუარია,
დამცველებია დენაჩენი და მამაჩემი.
მსაქონ უცვლელი ადგილი ბებიაჩემს
უკირავს. თამაშის სისტემა ასეთია:
1X2, 1X3, 1X4.1 — მე ვარ, შეტევა
წყდება ცენტრალურ. ოთახში შესვლის
თანვე მარჯვენა კიბის კუთხეში თერ-
თერმეტრთან საფარშია მორგებული
ტყუან მთავარი ბოძარდირი. აკრძა-
ბული ნაბოძარი ვიდეოზე თვითმეტ-
ტყუარია და გვჯავნი უკონტროლო. უკონ-
ტროლი წყლის სიღვრადი. შეუპოვად ვი-
ცავ ბოუტერს, მაგრამ თაფრი დატყობით
ცოლი ხსნის ანგარიშს. მართლაც 50 მა-
ნეთის ეტერანი თავდასხმელ სიმაქის
წინა ფლანგზე საზოგადო გარღვევაზე
გაყვას ცენტრალური თავდამსხმელი
სიღვრადი. ეს უკანასკნელი თითქმის
ცოლმორაობით ამუშავებს ბილის ქო-
რის გადაღის კომბინაციას, ხელსაყრე-
ლი პოზიციიდან ჩვეულო ოსტატობით
მტკიცეს 30 მანეთს. ყოველი უფროსი
ვაჟიშვილის რეჟიმი. ცდილობს კარის-
აქ გავიჭრა. რათა გადაეღურჩე შშაღ

ანგარიშს და შევიწარტნი დარჩენილი
თაზნა. გვერდს ვუვლო ცოლს. გვიძე-
ცი სიღვრადი, მოგატყუე სიმაქი, ფეხ-
დაფეხ მომტყუე გამოძალის დამსახუ-
რებული ოსტატი „მწმენდავი“. იგი
სუფთად მართლაც ტყუილი 25-მანეთი-
ანს. ჯარიმა! — ძმის ბებიაჩემის სას-
ტყენის ხმა. ჯარიმას მირტყამს ქალიშვი-
ლი. იგი ემოციას ყვერითი გამოხა-
ტავს და ჩაღდება ციფრ 15 მანეთს. ან-
გარიში იზრდება ციფრ-შვილის სასარ-
გებლოდ. შუათანა შვილი არჩევს ხელ-
საყრელ მომტყუარს. მაღალტექნიკურად
მიეცეთებს ფინტს და იღებს 5 მანეთს.
მოცელე არ გაუშვას — ისმის აგრე-
სიულად განწყობილი ნაბოლარას წრე-
ბინა ხმა. ფეხს მიღებს ცოლი და გაპა-
რიალურად იატაკზე ცხვირით ეცეცეც,
თავს ეუბრტყავს მარცხენა კარის ძეღს,
ისმის მსაქონის სასტყენის ხმა. უსუნოვად
საბოთის ბებიაჩემი ოთახიდან სამზარე-
ულოში ახევეს ცოლს. დამცველია
დახმარებით გაეცავარ საძინებელ ოთა-
ხში.

მეორე ჯამგარის მიღებამდე გუნდის
თავდამსხმელები ვარჯიშს განაგრძობენ,
ცოლის დახმარების დღისათვის ემზადე-
ბიან. წინასწარი პროგნოზი ვიცი, თა-
მამი იქნება მეტად დახმარებული, ღინა-
ტყური, შემტყუარ სტილის.
თუ გადავჩირი, ხო კაი, თუ არა და
ოქე!

გულშემატყუარის სახალსეზონო ფიქრები

ძებნე, მთავარი როლია
მიოლოდ „ა“ კლასში დარჩენა.
ნეტავი ახალ სეზონში
ღიად ფეხბურთზე ვაგაქნა.

თუკი სუფსასთან ჭარბდობლით,
მიდგარიზე დარჩით ჭარბდობლით.
არ მოკლებულდეს ფრისს
„დაჩტმას.“ და „არისს.“ სათმუღად.

კოლტყუარად „გებრძოლით“,
შეღამ უგებდით პარტნიორს.
ტელევიზორთან დარჩენა
ადრ გვერდის სტადიონს.

თუ გარჯას არ დაგვგარდებით,
თქვენ ჭედალ მეღამ მივიტოვით.
დღე გუგამშითი ჩვენთანაც
იხე, ნაყრებში რაიმე იყოს.

წლებს მანძილზე ოცნებით
ღამის ყელთამდე ადვილდით;
თასი სიზმარში ნანახი
ერთხელ ცხადდებოდა გაღიჯრით.

გულზე აგვიფრთხილათ...
სასტყუარის დღისათვის...
ეს, როდის განმეორდება
სამოქმედობის „ღინაში“.

დეკაპეზაბა მიუვალებს

ამგონიდან, აღმანიან ბედს თანდაყოლ-
ვარგოლიანობა სწავლეს, მავანი და მავანი
კი გასაზიან, მთავარი მათზე ნა მოქმედობაა.
ერთად კი უნდა, ის თქვას, მე კი ღებუშვება
მიშველეს.

ყველაფერი ასე დაიწყო: ბაღშივე ვისე-
ნებოდი. ორი დღეა დარჩა საგზურის გათა-
ვებამდე. თვითმფრინავის ბილეთი ანათლი
საძებნე იყო. ღიღებულმა აზრმა გამოვლევ
თავში — დავერეკე ცოლს და მეორე დღეს
ნანატრი დედაზე მივიღე: „მეტყუარ შვილი
ხუთკაციანი გაღაფლავა. ბავშვი სიცილის
პირასაა. სასწრაფოდ გადმოფრინდი“.

თვითმფრინავის ბილეთი იოლად ვიშოვე-
ნი დღიდან ჩემს ბედს ძალიან ადარ უნებდა.
მაკოვანი დამქირდა. ჭეთისიდან დედაზე
მივიღე: „აღუდა გედავა, ექიმმა გამოვ-
რეკე! კვება დაეწივნა. პირდაპირი გე-
სანაბრე! სასწრაფოდ მიკვებადი. ფრთები მა-
კოვარ! ასე დაიბრუნე მაკოვარ!“.

ასეც იმას აღარ იცნობდა, ბინა როგორ
მივიღე! ამ საქმეში ჩემი მამაკაცი ყოფა და-
მეხმარა, იგი ტერმინალა ჯგუფთან ერთად
სასაფარავით გაემგზავრა და უცხოეთიდან
უცხოე იწაზე დაერეოლი დედაზე გამოიგზავ-
ნა: „ოჯახითილი შენა შრომალოვრ ქალაქში
ვაპარებ ჩამოსვლას. თქვენი სტუმართმოყუ-
რეობის იმედი მაქვს. შენი ოჯახისგაღაღე-
ლი მეგობარი ყოფილი“.

ამ ღებუშვაც გავჩა. თქვენი გგონიათ, ამ
ჩემი მოთხოვნის გამოძევებამაც დედა-
მამა არ შეუწყვიტეს ხელი გამოგზავნაზე.
ამ მოთხოვნის დაწყებთ სიზმარულად გა-
მოგზავნალოდ ღებუშვას: „ჩემი ათავა. მჩივია
ჩემი ბიჭის მოთხოვნა „მიანება“ რომ წა-
კითხა, ოღონდ მოკლავს. მამაშენი ასალო“.

რუსულიდან გადმოკართული
მამად ლტოლნიანამ

იყო ათის ათი წუთი. არც მეტი, არც ნაკლები.
მე გარისკავითი გაჭიხული ვიდედი უფრო-
სის წინაშე და საყვედურებს ვიხმებდი — შე-
ნედი იგინებო? რა ჯნა, აღარ ვიცი, იგი შენ-
რამ ფრთხილ ხუთი-ათი წუთი, რომელსაც შენ და
შენისთანავე სახელმწიფოს არიშვდი, რამდენი
უღდება სახელმწიფოს? არ იცი. ჰოდა, მისიხი-
და დავიწყო ისევ უფროსმა მთელი თავისი ცოდ-
ნა, რაც კი არიშვებებში გააჩნდა, ჩემს წინ
გადმოვიწა. ათი წუთი, ათი მილიონი ფუნტსე-
მელი, თხუთმეტი წუთი, ოცი მილიონი გილის
ვაგრილი...

რეკას ათი ათი წუთი დააკლდა, უფროსმა მა-
ადრია მთლიან. შემდეგ ხელი ჩაიჭრა და ოფ-
ლი მიიწვიდა. ეტყობა მოგზავრა ჩემთან სა-
მარა. მე მაგიდის მივეჯექი და საშუალოდ შე-
ვეწხადე. მავრამ ციფრების მომრება ვერაფ-
რით ვერ შევეციე თავიდან.

ყველაფერი იმ წუთილი ტროლითუსი გა-
მო მოხდა. თუკი ყველა ტროლითუსი ამდენს
დადგებოდა, მაშინ... სახელმწიფოს ზარალი გა-
ქნება. ფანტარი მიდმარევე და ახგარბს შედეგ-
ში. შესვენებამდე ნახევარი მილიონი მიადწი-
ვარდობა, ვინცედივო იყო, შეუწყვეთი შემდეგ
ყველა განავარდნის. შესვენების შემდეგ უფროსმა

დამბარა და სამართალდებლობა წასაღები ბრძა-
ნის მიმაც: წაბეღე, უფროსი ხელს მოაწერებო
და მიხედე, ოღონდ არ დაიგვიანო.

მივიღე, უფროსი დააკლული იყო და მიდინა-
მა არ შემიშვა. ისე კი გამაფრთხილა, აქ თამა-
ქის მოკლე აკრძალულია. მე საშუალოდ ჩამოვჯექი
იმ ორი კაცის გვერდით, რომლებიც ჩემსავით
იყვნენ მსგულნი და ყოველი შემთხვევითი
სტუმარბინი წინგებთ მოგზაუნათ თან წასა-
კითხად. ნახევარი საათის შემდეგ მისადგული
ოთახი მთლიანად შეივსო.

— კი მავრამ, რამდენა ზარალს აყენებს სა-
ხელმწიფოს ეს ლოდინი? — დავესვი თავს კითხ-
ვა და განაგრძობდა შემდეგ.

— მილიარდის შემდეგ ტროლითი თუ ბი-
ლითი — ვკითხე ჩემს მსგულს.

— ბელითი, — მოხარა მან. თვალზეშე შე-
ვატყუე, რომ ლოდინში მომივხდებოდა. ერთი სა-
ათი შემდეგ, მთლიანა გვითხრა: ეტყობა უფროსის
ღღეს მიღება არ უნებდა. დავგინებთ ხელისთ-
ვის მე გამოვხედი და ნახევარიშვიე კლადლი თან
წამოვიღე... ზღაღისთვის...

ანდრო კომოლოვა

მეღვლები ჩხარა!

დაიწყო... გული კვლავ ბუროვით
დაფრინდა...
მეღვლები ჩხარა!
ჩემპიონობა ჩვენი მიღწევაა...
ვით სავეტ სტადიონს გულსაბა გატანა...
მეღვლები ჩხარა!
ღვლებმა კართული ღვებურობის პარბინმა,
ვიტეს ფეხი გასწირა და ოქრო ვაგახარა.
მათ სახელს ჩვილი ყრმა აკვირდა...
დაიკრძეკეს...

მეღვლები ჩხარა!
ლოლება, ვინც კოვცე მესასხარა...
ფეხბურთის
ტანს მოსწევრებს და გავგზიხის ფეხბურთის
უხანავს...
დაიწყო... ვეფრელები, ვეფრელები,
მეღვლები, —
მეღვლები, მეღვლები... მეღვლები ჩხარა!
ზაზა კამიკაზილი

ჩემი საჩუქარი ცხრა ტრანზიტორული რადიომიწოდების გვერდით დადგება. გვარი გრძელ სიაში სადღაც ჩაიკარგა... საქორწილო სუფრაზე დამკვრელთა „ტუში“ გუგუნებდა. ფართო მხარბეჭიანმა კაცმა ბანჯგვლიანი ხელით ჩაის ჭიქა დატორა და ფეხზე მდგომ ნეფე-დედოფალს კამერის თვალები შეაბრ-ღვიალა. მისმა სიფათმა დამარწმუნა, რომ საქმე თამადასთან მაქვს და მორ-ჩილად თავი დავუქარი.

— ყვავილებს გაუმარჯოს! — შელოილა მან. მერე დიდხანს „იმპერმეტ-ყველა“, ნეფე-დედოფლის ბიოგრაფი-აში ცვლილებები შეიტანა და ღვინო მოუსვლელებში გაგზავნა.

— ყვავილებმა იბედნიერონ! — ყვავილებმა გაიხარონ! — მხარი აუბეს თამადას მაყრებმა.

თამადამ პატივი დამლო და ყურად-ღება მიმაქცია, მის პირდაპირ დამსვა. ჩაის ჭიქაში „ბურთი“ გააკეთა და ჯი-ქურ დამაჯახა. დამკვრელებმა „ტუშის“ ერთი ნაგლეჯიც შემაწიეს.

მერე მედლომ ფეხი სკამზე შედგა. მეგარმონის აკომპანიმენტს დოლის ბათქი შეაშველა და საკუთარი რეპერ-ტუარიდან ერთი ნიმუშით „დაგვარტ-ბო“:

„თუ არ გიყვარდი, რად შემეყვარე.
თვალეზე ცრემლი რად დამიდვარე,
ნეფე-დედოფალს შენ გენაცვალე.
ოი, ჯან, თამადავ, გენაცვალე...“

მედლომ ოვაციით დააჯილდოეს. მე-რე თამადა აღგა:

— ნეფე-პატარძლის მშობლებს გაუ-მარჯოს! — შესძახა.

ჭიქები აჯახუნდნენ, სადღეგოდელოე-ბი ერთობ გაჭიანურდა: ზოგმა ტაფა-მწვარი მოიხრაკა ხელისგულზე, ზოგი აღუღებულ წყალში ჩადგა... მშობლე-ბის ამაგი კი ვერ გადაიხადეს... ბოლოს

დამკვრელებიც ადგილზე აღმოჩნდნენ: „შობელ დედის სიმღერა, აბა ვის მოსწყენდება, საყვარელო ჩემო ბები...“

დელი, დელი.. სულზე ტბილო ჩემო ბების..“

მედლომ ტაშის გრიალმა დაადუმა. „გუშინ შეიძინე გურჯანენი სანადიროდ წასულიყვნენ...“

წამოიწყო მაყარმა. სუფრის ბოლო-შიც ვილაც შეეშველა, მაგრამ ვინ და-აცალა: დამკვრელთა პირდაპირ მკდომ-მა მაყარმა ტაში შემოკრა და სიმლე-რა გააწყვეტინა: — შალახო! — იბლა-ვლა, სუფრას გადაევლო, მაგიდებს შუა ჩახტა, მედლომ ათმანეთიანი მიათხ-ლიშა სახეში და დოლ-გარმონის ჭყი-ვილზე ტანი ააძიკიგა. სხვებიც ამჩატ-დნენ და გარმონზეც გაეკვრნენ ათ-მანეთიანები... მერე თამადამ სიწყნარე და ყანწი მოითხოვა, მორიგი სადღეგ-რძელო „ჩამოაყალიბა“. მის მაგალითს მივბადეთ და ცარიელი სურებიც აკრი-ფეს.

„დამისხი, დამალევიწე, ეს ღვინო ოხერ-ტილი...“

— სიმღერის საღერდელი აეშალა ვი-ლაცას.

— დაუსხი და ჩააცეცხლე მაგ ამხა-ნაგს! — ბრძანა თამადის მეორე მო-ადგილემ.

— იმღეროს, ხელს ნუ უშლით!

— შეეშვას ოპერას!

— გთხოვთ სიწყნარეს! — გაისმა შე-მოსასვლელში.

— რა ამბავია! — ხმას აუწია თამა-დავ.

— დელეგაცია!

...ხუთი ვაჟკაცი წარსდგა თამადის წინაშე. დელეგაციის მეთაურმა მოახ-სენა: — ქვედა სართულზე სურთ ნეფე-პატარძალი აღდგომდნენ.

— მერედა, ვინ უშლით ხელს?

— ნეფე-დედოფალიც ერთი-საათი-ორივე უნდა გვათხოვოთ. წავიდნენ და „აირბა“ — მომასტეკია თამადა შეეცადა წესრიგი აღედგინა. სახლის ქერის დამხურავი და მეზობ-ლები აღდგომდნენ. მერე მაგიდის წვე-რებს მიდგა თითო ჭიქით.

— საქართველოს გაუმარჯოს! — შეს-ძახა ბოლოს თამადამ. სადღეგოდელო მოკლედ მოჭრა. დამკვრელებმა „ტუში“ დააგუგუნეს. მედლომ საკუთარი რე-პერტუარიდან კიდევ ერთი „სიმღერა“ შეგვაცნა:

„აბა მითხარ ვინ წარმოშვა ტურფა თამარი, საქართველო, შენზე კარგი არსად არ არი, საქართველომ დაივიწყა ყველა მონები, ააშენა კულტურა და სტადიონები...“

მან ლიტერატურისა და ხელოვნების ამ „უბადლო“ ნიმუშისათვის ტაში დაიმ-სახურა. მერე ვილაცას გაახსენდა, რომ სადღეგოდელო არ შეუსვამს და წამოდ-გა:

— საქართველოს გაუმარჯოს, ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს! დედუფლები ბევრი გყავდა ჩვენ, მაგრამა თამარიც დედუფალი იყო. თამარს გაუმარჯოს! მისი მეფობიდან დავეთს გაუმარჯოს! საქართველოა რაცაა, მაი რას მიქცია ამერიკა. ამერიკა კოლუმბმა აღმოაჩინა, გაუმარჯოს! — ყანწი — გამოწრიტა და გადმომაწოდა.

— ქორწილია, ქორწილი! — აღრი-აღდა ვილაცა.

ბიჭებს გადავავლე თვალი, თავები მაგიდაზე ჩამოუსვენებიათ და ხერინა-ვენ. ქვედა სართულიდან ღრიანცელი ისმის. თავი მიმძიმდება და თეფშზე ჰოულობს საყრდენ წერტილს.

— ყიყლიყო! — მამალს აჯავრებს მედლომ.

თმარ გოჩილაშვილი

შ ე ვ რ ი გ დ ე თ, კ ო ლ ა!

ჩვენ დიდი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებდა. ალიონზე, მეზობის ცოცხის ფხაჭუნთან ერთად გვესმოდა შენი ომახიანი „მაწონიიიი... აბა, კარგი მაწონიიიი...“. და ჩვენც დილის ძილდაკარგულები გიღებდით კა-რებს ხურდა ფულითა და ცარიელი ქილებით ხელში.

მაგრამ ერთ დღესაც ჩემმა კარის მეზობელმა შენს მაწონს ქოქოლა ზაყარა და ყველას გასაოცრად ორ წუთში ჩვენი გასტრონომიდან მაწონით საესე ბოთლები მოარბენინა.

— რაღა მაგას გავუცხო ჯიბეები ფულთ. როცა მალაზიაში მაწონი ორჯერ იაფი ღირს. — თქვა და ცხვირწინ კარები მოგიჯახუნა.

მეორე დღეს მეორე მეზობელმა შეგიტრიალა კეზი, მესამე დღეს მე-სამე, მალე მეც შემეჯდა ეკვის ჭი და ერთ დღესაც მალაზიის ქილებით ხელგავსებულს გზად შემომეყარე.

— შენც ეგრე არაა... ვნახოთ?!

მე მედიდურად გვერდზე ჩაგარე და ყურადღება არ მივაქციე შენს საყვედურებს. ამ წლის თებერვალში დაიწყოებული გვქონდა შენი არსე-ბობა, მაგრამ თბილისის რიხ-კომბინატმა შენს გასახარებლად ამ ბოლო

დროს მაწონის გამოშვებას საექვო ზღვარი დაუდო და ჩვენ დაგვტოვა ისევ შენი და შენისათნების იმედეზე.

გუშინწინ, კოლა, შენ ისევ შენებურად შემოსძახე ჩვენს ეზოში შენი ომახიანი „მაწონიიი...“ ისევ აფორიქდნენ ქალები, აჭრილდნენ კა-რებები.

— ჰა, მალაზიიდან ველარა ყიდულობთ! არა, თქვენთვის მაწონი არა მაქვს. — შემომეყირე მთელი ეზოს გასაგონად და ზურგი შემაქციე.

შევრიგდეთ, კოლა. რა ვუთხრა იმათ, ვინც ისევ შენს ხელში ჩაგვაგ-დო. დღეს ისევ შენს მოსვლას ვდარაჯობთ, ისევ ორმაგს ვიხდით და ისევ ისე გვეჭვიანობთ.

რამდენი მეწველი ძროხა ჰყავს კოლას, რომ არც რამე უთავდება და არც მაწონი!

რას ვიზამთ, ღრობითი გამარჯვება შენია და ამიტომაც მალაზიაში მაწონისთვის დაგრძელებულ რიგს სიამოვნებით გაჰყურებ და გამარჯე-ბული კაცის ხმით მთელ ქუჩაზე ხმამღლა გაჰყვრი „მაწონიიი, აბა კარგი მაწონიი“.

3. აახილეშვილი



აზიზი გეგმები



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლჭავაძე,
(პ/მზ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. გალაშვილი,
ბ. ნიჟარაძე,
(მთავ. რედ.
მონაწილე),
ნ. ზვებელიძე,
ო. გელიძე.

საბჭოთა და იუმორის
ჟურნალი „აზიზი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.


აზიზი

ტელ. 99-76-69, 93-10-78, 93-49-32

Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Азизы».
საბ. კვ. ცენტრალური
კომიტეტის გამომცემ-
ლობა. ხელმოწ.
დასაბ. 5/IV 1968 წ.
კალ. ზომა 70x108¹/₈
1 ნაბ. ფურც. 1,4.
ფიზიკურ ფორმატა
რაოდენობა 1.
პირობითი ფორმატა
რაოდ. 2. საბ. კვ.
ც.პ.ს. გამომცემლო-
ბის პ/კომპიანატი.
თბილისი, ლენინის
ბ. № 14. შპკ. № 1366.
შე 02051.
ბირაშვი 83.700.



კიზინბერი და გერმანიის ახალი ტარბი.



ნახ. ვ. მსხვერპლისა

— ეს კოსტუმი რამდენ ხანს გაგიძლებს?
— ხუთი წელი ანუ მეტი და არაფერი მოსვლია, შენთან
რა ღმერთი გაუყვრება!

უხსოვარი იუმორი

მეამხმარეთან

დედა — შეილა, წაღა მეძებვსთან და გამოგე აქვს თუ არა მას
ლორის ფეხები?
პატარა ჩქარა ბრუნდება.
დედა — გამოგე?
ზვილი — ვერა, დედა, მეძებვს წაღები ეცვა.

მატარებელში

კონსტანტინოვი — თქვენ სახალხო მატარებლის ბილეთი გაქვთ. ეს
კი ჩქარაა.
მგზავრი — მხოლოდ ეს გაწუხებთ? უთხარიტ მეგანქანეს, შეანელოს
სიჩქარე.

სინონიმი

— მამა, რა არის სინონიმი? — ეკითხება ბავშვი მამას.
— როგორ, შენ არ იცი რა არის სინონიმი? ახლავე აგისსი. სინონიმი
ესეთი სიტყვაა, რომელსაც იყენებენ იმ შემთხვევაში, თუკი სათქმელი
სიტყვა დაავიწყდათ.

ფრანგულიდან თარგმნა გრიტა მარტაშვილმა

მე ხომ მიცნობთ?
მშარტველი სილიბისტრო ნამჩევადე
გახლავართ. ვენაცვალე ჩემს მფარველ
ანგელოზს, ანთიმოზ ზოსიმიჩს, თორემ
მე ვინ მაღირსებდა ამ აღვილს.
ერთ მშვენიერ დღეს ტელეფონზე
მირეკავს ანთიმოზ ზოსიმიჩი...
— რაო? — გაოცებით შევყვირე და
ყურმილი მელოტ შუბლზე ისე მივირ-
ტყი, რომ ჩემს მოსაუბრეს ხმა მისწვ-
დომოდა.
— დედა, დედა, დედა, რა მოუვიდა
საცოდავ ბებიატყვეს. რა დროს მისი
სიკვდილი იყო, ას ხუთ წელს სულ
ახლახან გადაბიჭა.
— ყურმილი რომ დავდე, სახე ოფლით
მქონდა დაცვარული.
ცოტა სული მოვითქვი და იმ წუთში
რედაქციაში გამოვცხადდი.
რედაქციაში პატივისცემით მიმიღეს.
მომისმინეს და მითხრეს:
— მართალია, დიდი უბედურება
მოგვსლიათ, თქვენს მეგობარს ერთად-
ერთი გამწრდელი და საყვარელი ბებია
დაუკარგავს, მაგრამ განცხადებას მხო-
ლოდ გარდაცვლილის ოჯახიდან ან ახ-
ლო ნათესავიდან მივიღებთ.
დაშმათებული გამოვედი იქიდან და
კარებში შემხვდურ პირველ ნაცნობს
ჩემი გაჰირვება შევიჩვიე.
— მაგის მეტი არ იცი? — გაიკვირვა
და იქვე შემიღვინა განცხადების ახალი
ვარიანტი.
ამჯერად პირდაპირ გამომცემლობის
უფროსს მივადექი და დიდად დამწუხ-
რებული კაცის იერი მივიღე...
კარებთან მოსულს მოღარე ქალი-
შვილის ხმა შემომესმა:
— ხედავთ, როგორ ჰყვარებია დეი-
დაშვილი?... აფსუსი დამდნარა კაცი
ჩავერით და ეს არის...
— მეტი თქვენ რა გითხარით? —
ჩავიხიბითიე გულში და ქამარზე გად-
მოშვდარი მუცელი კარებში ძლივს გა-
მოვატარე...
მეორე დღეს სამსახურში ჩვეულებ-
რივად მოგვიანებით მივედი.
მოსაცდელში თანამშრომლების გრძე-
ლი რიგი დამხვდა. მათ მოღრეცილ
სახეებს რომ შევხედე, ალბათ რვეი-
ზიაა-მეთქი, გავფიქრე და ჭინჭარივით
დამსუსხა.
მერე მივხვდი რაშიც იყო საქმე და
დიდად მგლოვიარე კაცის იერით ვის-
მენდი თანამშრომელთა სამძიმარს საყ-
ვარელი დეიდაშვილის, ეკას გარდაცვა-
ლების გამო.
მეორე დღეს მდივანმა ქალმა არაჩვე-
ულებრივი სიმაყით შემოიტანა გაზეთი
და მაგიდაზე ისე დადო, რომ მეოთხე
გვერდის ქვედა ნაწილი მომხვდა თვალ-
ში პირველად.
შავ ჩარჩოში ჩასმული პატარა გან-
ცხადებები შევათვალიერე და სიმწრით
გამაჟრუჭლა: ყველა განყოფილება, კან-
ცელარიაც კი ცალკე მიცხადებდა თა-
ნაგრძნობას დეიდაშვილის გარდაცვალე-
ბის გამო.
შოსაცდელ ოთახში ქალის გაანჩხლე-
ბული ხმა შემომესმა და ცივმა ოფლმა
დამახსხა.
მაღე კარებში ჩემი ღვიძლი დეიდა-
შვილი ეკა იდგა და თვალებიდან ნა-
პერწყლებს ჰყრიდა.
— მკვდრად გამომაცხადე ხომ? — ეს
კი გავიგონე და მეტი აღარაფერი მახ-
სოვს...
ახია ჩემზე.

ლილი ნუსუბიძე

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ



საპირველმასოდ დამოწმობა-
ცია სამხრეთ ვიეტნამში.

